

ქუთაისის ს/ს სამკერვალო კომპანია “იმერი”

2018 სამეურნეო წლის ფინანსური

ანგარიშგება

ინფორმაცია საზოგადოებისა და მისი საქმიანობის შესახებ

საზოგადოების სამართლებრივი ფორმა და დასახელება	სააქციო საზოგადოება სამკერვალო კომპანია “იმერი”
საზოგადოების საიდენტიფიკაციო კოდი	212670563
საზოგადოების იურიდიული და ფაქტობრივი მისამართი	ქუთაისი ლადო ასათიანის ქ. 119
საზოგადოების დაფუძნების თარიღი	25.08.1996
საზოგადოების ელ.ფოსტა	imeri.jsc@gmail.com
საზოგადოების დირექტორი	ჩიხლაძე გიორგი
საზოგადოების საქმიანობის საგანი	სამკერვალო ნაწარმის წარმოება

შინაარსი

ფინანსური ანგარიშგება

ბალანსი-----	4
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიში -----	5
კაპიტალის მოძრაობის ანგარიში -----	6
ძირითადი საშუალებების მოძრაობა -----	7
მარაგები -----	8
ფული და ფულადი ექვივალენტები -----	9
მოგებისა და ზარალის ანგარიშგება -----	10
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები -----	11-17

ჩიხლაძე გიორგი
დირექტორი

მაია დეისაძე
მთ. ბუღალტერი

ს/ს სამკერვალო კომპანია “იმერი”
 ბალანსი
 (თანხები მოცემულია ლარებში)

	შენიშვნა 31 დეკემბერი 2018 წ.	31 დეკემბერი 2017 წ.
მოთხოვნები		
გრძელვადიანი აქტივები		
ძირითადი საშუალებები	3.094.117	3.088.298
სულ გრძელვადიანი აქტივები	3.094.117	3.088.298
მიმდინარე აქტივები		
მარაგები	281.927	320.610
მოთხოვნები მიწოდ. და მომსახურებიდან	160.939	335.720
გადახდილი დღგ	66.304	1624
ფული და ფულადი ექვივალენტები	167.871	196.460
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები		
სულ მიმდინარე აქტივები	677.041	854.414
სულ აქტივები	3.771.158	3.942.712
ვალდებულებები და კაპიტალი		
მიმდინარე ვალდებულებები		
ვალდებულებები მოწოდებიდან და მომსახურ. 3.399		13.211
მოკლევადიანი სესხი	563.460	639.111
ვალდებულება პერსონალის მიმართ	322.710	213.538
საგადასახადო ვალდებულებები		
სულ მიმდინარე ვალდებულებები	889.569	865.860
კაპიტალი		
საწესდებო კაპიტალი	820.899	820.899
სხვა რეზერვები	1.804.005	1.804.005
აკუმულირებული მოგება	(192.215)	(192.215)
გაუნაწილებელი მოგება	448.900	644.163
სულ კაპიტალი	2.881.589	3.076.852
სულ ვალდებულებები და კაპიტალი	3.771.158	3.942.712

ჩიხლაძე გიორგი
 დირექტორი

მაია დეისაძე
 მთ. ბუღალტერი

ს/ს სამკერვალო კომპანია “იმერი”
 ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიში
 (თანხები მოცემულია ლარებში)

2018 წ. 2017 წ.

საინვესტიციო საქმიანობასთან დაკავშირებული ფულადი
 სახსრების მოძრაობა

ძირითადი საშუალებების შესყიდვა 22.205 52.011

წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან

საფინანსო საქმიანობასთან დაკავშირებული ფულადი
 სახსრების მოძრაობა

სესხის აღება 100.000 160.000
 სესხზე დაფარვა 212.401 362.433

წმინდა ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან

საკუროს სხვაობის ეფექტი (5.641) (44.771)

ფულადი სახსრებისა და მათი ექვივალენტების წმინდა
 მატება/კლება (28.589) (65.578)

ფული და ფულადი ექვივალენტები პერიოდის
 დასაწყისში 196.460 330.575

ფული და ფულადი ექვივალენტები პერიოდის ბოლოს 167.871 196.460

ჩიხლაძე გიორგი
 დირექტორი

მაია დვისაძე
 მთ. ბუღალტერი

ს/ს სამკერვალო კომპანია “იმერი”
 კაპიტალის მოძრაობის ანგარიში
 (თანხები მოცემულია ლარებში)

	საწესდებო კაპიტალი	სხვა რეზერვები	აკუმულირებული მოგება	წმინდა მოგება	სულ კაპიტალი
ნაშთი 2017 წლის					
1 იანვრისათვის	820.899	1.804.005	(192.215)	429.000	2.861.689
12 თვის ბრუნვა				378.069	378.069
ნაშთი 2018 წლის					
1 იანვრისათვის	820.899	1.804.005	(192.215)	429.000	2.861.689
12 თვის ბრუნვა				205.125	205.125
ნაშთი 2018 წლის					
31 დეკემბრისათვის	820.899	1.804.005	(192.215)	448.900	2.861.589

ჩიხლაძე გიორგი
 დირექტორი

მაია დეისაძე
 მთ. ბუღალტერი

ს/ს სამკერვალო კომპანია “იმერი”
(თანხები მოცემულია ლარებში)

ძირითადი საშუალებების მოძრაობა

	მიწის ნაკვ.	შენობა ნაგებობები	სატრანს. საშუალებები	საკერავი მანქანა დანადგარები	ავეჯი და ოფისის ინვენტარი	სხვა ინვენტარი	
ნაშთი 2016 წლის 31							
დეკემბრის							
მდგომ.	1.804.005	719.682	16.900	1.592.063	40.717	61.408	4.234.775
მატება				22.205			22.205
გადატანა							
ჩამოწერა							
გაყიდვა							
ნაშთი 2017 წლის 31							
დეკემბრის							
მდგომ.	1.804.005	719.682	16.900	1.614.268	40.717	61.408	4.256.980
ცვეთა							
ნაშთი 2016 წლის 31							
დეკემბრის							
მდგომ.		267.593	6.504	823.221	18.820	22.338	1.138.476
მატება							
გადატანა							
ჩამოწერა							
გაყიდვა							
ღარიცხული ცვეთა		6.230	141	23.514	1.472	4.139	35.496
ცვეთის ნაშთი 2017							
წლის 31 დეკემბრის							
მდგომ.		273.823	6.645	846.735	20.292	26.477	1.173.972

ჩიხლაძე გიორგი
დირექტორი

მაია დეისაძე
მთ. ბუღალტერი

მარაგები

	31.12 2018 წ.	31.12 2017 წ.
სულ მარაგები	281.927	320.610
საოფისე ინვენტარი	45.319	57.212
საკონსტრუქციო მასალები	22.077	21.336
კნობი	1.257	1.709
ვეტიკული	836	
საკონსტრუქციო მასალების ნემსები		4.600
დაფი	1.529	863
კაბა ქაღალდი	16.202	
სამხრები	1.284	
ელვა შესაკრავი	4.768	9.972
ლილი	3.718	13.228
ვეტიკული		2.377
მოსახლამი	1.162	13.814
ფაქსი	270	270
სერტიფიკატი	421	421
ჟილეტი		2.901
პერანგი ქაღალდი		25.651
ელექტრო, საამშენებლო მასალა	21.434	10.200
მზა ნაწარმის მოდულები	3.026	2.611
პიჯაკი ქაღალდი	3.905	13.135
ქვედა კაბა	2.627	972
პერანგი	28.315	18.018
შარვალი ქაღალდი	9.033	981
თარგის ქაღალდი	9.527	6.403
ქურთუკი სხვადასხვა		6.141
პალტო და ნ/პალტო კაცის	83.916	75.618
სარეცხი საშუალება	588	1.188
კვების პროდუქტები	730	1.109
სხვადასხვა	15.897	9.260
ქურთუკი იტალიური		16.840
ცელოფანის პარკები	1.396	3.105
საგაზეთო ქაღალდი	2.690	675

ჩიხლაძე გიორგი
დირექტორი

მაია დეისაძე
მთ. ბუღალტერი

ს/ს სამკერვალო კომპანია “იმერი”
(თანხები მოცემულია ლარებში)

ფული და ფულადი ექვივალენტები

	31 დეკემბერი 2018 წ.	31 დეკემბერი 2017 წ.
სულ ფული და ფულადი ექვივალენტები		
ფული საღაროში	17.086	16.795
ფული რეზიდენტ ბანკებში	150.785	179.665
სულ ფული და ფულადი ექვივალენტები	167.871	196.460
ქართული ლარი	167.871	196.460
უცხოური ვალუტა	-----	----

შენიშვნა 6 — საოპერაციო შემოსავლები

	2018 წ.	2017 წ.
სულ საოპერაციო შემოსავლები	3.811.337	3.888.906
1. მზა პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი	3.784.536	3.867.567
2. საიჯარო მომსახურეობა	26.801	21.339

ჩიხლაძე გიორგი
დირექტორი

მაია დეისაძე
მთ. ბუღალტერი

ს/ს სამკერვალო კომპანია “იმერი”
(თანხები მოცემულია ლარებში)

მოგებისა და ზარალის ანგარიშგება

	31 დეკემბერი 2018 წ.	31 დეკემბერი 2017 წ.
საოპერაციო შემოსავლები		
მზა პროდუქციის რეალიზაციიდან	3784536	3867567
საიჯარო მომსახურეობა	26801	21339
სულ საოპერაციო შემოსავლები	3811337	3888906
გაწეული ხარჯები		
ნედლეულის და მასალების ხარჯი	235005	258899
შრომის ანაზღაურების ხარჯი	2960670	2718255
სატელეფონო მომსახურეობის ხარჯი	4949	5110
ცვეთის ხარჯი	35497	54560
საშუამავლო მომსახურეობის ხარჯი	42774	45698
ელ.ენერგიის ხარჯი	81560	78914
გაყიდვებთან დაკავშირებული ხარჯი	15344	11210
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	164251	231367
სხვადასხვა საგადასახადო ხარჯი	31955	24654
სხვა ხარჯი	32163	8378
პროდუქციის თვითღირებულება	3604168	3437045
საოპერაციო მოგება	207169	451861
არასაოპერაციო შემოსავლები	26801	21339
არასაოპერაციო ხარჯები	-5641	-44771
არასაოპერაციო მოგება/ზარალი	21160	-23432
მოგების გადასახადი	34029	62582
წმინდა მოგება	194300	378069

ჩიხლაძე გიორგი
დირექტორი

მაია დეისაძე
მთ. ბუღალტერი

ს/ს სამკერვალო კომპანია “იმერი”
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

ზოგადი ასპექტები

ს/ს სამკერვალო კომპანია “იმერ”-მა რეგისტრაცია გაიარა 1996 წლის 25 აგვისტოს და დარეგისტრირდა საქართველოს საგადასახადო ინსპექციაში როგორც სააქციო საზოგადოებად.

კომპანიის მფლობელები არიან:

1.	სიმონიძე მაია	----	14.85 %
2.	ჩიხლაძე გიორგი	-----	10.34 %
3.	აბულაძე ნანა, ნიკიფი მამუკა, ნიკიფი ზვიად (თანამესაკუთრები)-----		10.34 %
4.	გვენეტაძე ზაზა	-----	10.50 %
5.	ხაჩიძე ლიანა	-----	10.3 %
6.	კახიანი ინგა	-----	5 %
7.	კახიანი ხათუნა	-----	5 %
8.	ლომიძე გიორგი	-----	10.31 %
9.	ელბაქიძე ლელა	-----	6.07 %
10.	სანოძე ცისანა	-----	5.02 %

კომპანიის ძირითადი საქმიანობის სფეროს წარმოადგენს სამკერვალო ნაწარმის კერვა. “იმერი” სპეციალიზირებულია ქალის, ბავშვის, მამაკაცის ტანსაცმლის წარმოებაზე. 1997 წლიდან წარმოება თანამშრომლობს გერმანულ ფირმა “ლემეკ“-თან.

ს/ს სამკ. კომპანია “იმერი“-ს მიერ წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (შემდგომში- “მსს ფასს-ები”) შესაბამისად.

შენიშვნებში მოცემულია განმარტებები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. აქ თავმოყრილია ინფორმაცია, რომელიც აუცილებელია საწარმოს შესახებ ინფორმაციის სამართლიანი წარდგენისათვის ნორმატიული აქტებით დადგენილი წესების მიხედვით

ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

მომზადების საფუძველები

თანდართული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. კომპანია თავის საბუღალტრო ჩანაწერებს აწარმოებს საბუღალტრო და საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად.

სააღრიცხვო პოლიტიკა

ზოგადი

ანგარიშგების მომზადებისას სრული შემოსავლის ანგარიშგება დგება ხარჯების კლასიფიკაციით ფუნქციური დანიშნულების მიხედვით. საანგარიშო წელი ემთხვევა კალენდარულ წელს. შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება-ასახვა ხდება მსს ფას-ების შესაბამისად. ამასთან ხარჯების აღიარებისას დაცულია მიმდინარე პერიოდის ამონაგებსა და დანახარჯებს შორის შესაბამისობის პრინციპი, ანუ მათი გატარება სატანადო ბუღალტრულ დოკუმენტებში და ასახვა ანგარიშგებაში ხდება შესაბამისი პერიოდებისათვის მიკუთვნებით.

წარდგენის ვალუტა

საწარმოს მოქმედი ვალუტა არის ვალუტა “ლარი”, რომელიც ასახავს ძირითად მოვლენებისა და მასთან დაკავშირებული შესაბამისი გარემოებების ეკონომიკურ არსს.

უცხოური ვალუტით წარმოშობილი ოპერაციები

ფინანსური ოპერაციები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება ეროვნულ ვალუტაში. ტრანზაქციის განხორციელების თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური

გაცვლითი კურსის შესაბამისად. საანგარიშო თარიღში უცხოურ ვალუტაში დაფიქსირებული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების გადაფასება ხორციელდება ამ თარიღისათვის არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად.

რეალიზაციის ასახვა

რეალიზაციის მაჩვენებელი წარმოადგენს იურიდიული და ფიზიკური პირებისათვის გაწეული მომსახურებებისათვის მიღებულ და მისაღებ თანხებს დამატებითი ღირებულების გადასახადის გარეშე. შემოსავალი მოგება-ზარალის ანგარიშგებას მიეკუთვნება იმ საანგარიშგებო პერიოდს, როდესაც მოხდა მისი გამომუშავება, თანახმად რეალიზაციის პრინციპისა.

ფინანსური ოპერაციის შედეგები

ფინანსური ოპერაციები მოიცავს ბანკის კრედიტის მიხედვით გადახდილ პროცენტებს. უცხოურ ვალუტაში შეფასებული ფულადი მუხლების გადაფასება წარმოებს საბოლოო კურსით. საკურსო სხვაობით გამოწვეული ფინანსური შედეგები ანგარიშგებაში ასახულია მეტი თანხით.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების ღირებულება აქტივად აღიარდება თუ მოსალოდნელია რომ საწარმო მომავალში ამ აქტივის გამოყენებით მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია აქტივის ღირებულების საიმედოდ შეფასება. ძირითადი საშუალებების ერთეული რომელიც აკმაყოფილებს აქტივის აღიარების კრიტერიუმებს ფასდება მისი თვითღირებულებით. ძირითადი საშუალებების ერთეულის თვითღირებულება განისაზღვრება აღიარების დღისათვის თანდროული გადახდისას გადასახდელი ფასის ეკვივალენტით. თუ გადახდა გადავადებულია და საკრედიტო პირობა სცილდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობების ფარგლებს, მაშინ ამ თანხასა და მთლიან გადასახდელ თანხას შორის სხვაობა აღიარებული იქნება როგორც საპროცენტო ხარჯი კრედიტის ვადის განმავლობაში, ან მოხდებამისი

კაპიტალიზაცია თუ გადავადებული გადახდა უკავშირდება განსაკუთრებულ აქტივს. ძირითადი საშუალების ყოველ ერთეულს ცვეთა ერიცხება ცალ-ცალკე. ყოველი პერიოდის ბოლოს ცვეთის ხარჯი აღიარდება. აქტივის ცვეთადი ღირებულება ნაწილდება სისტემატურ საფუძველზე, მათი სასარგებლო მომსახურეობის ვადის განმავლობაში დარიცხვის წრფივი მეთოდის გამოყენებით. აქტივის ცვეთის დარიცხვა ხდება მაშინ როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც აქტივი არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში, რაც აუცილებელია აქტივის გამოსაყენებლად, ხელმძღვანელობის მიერ დასახული ამოცანების მიზნებისათვის.

ძირითადი საშუალებების ცვეთის გაანგარიშების მიზნით გამოყენებულია წრფივი მეთოდი. ძირითადი საშუალებების ცალკეული ჯგუფებისათვის განსაზღვრულია მომსახურეობის ვადები.

დანახარჯები ძირითადი საშუალებების მოვლა-შენახვასა და რემონტზე, რომლითაც არ იზრდება ძირითადი საშუალებების ღირებულება მიკუთვნებულია საოპერაციო ხარჯებზე.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები შეფასებულია თვითღირებულებასა და მის დასრულებასა და გაყიდვასთან დაკავშირებული ხარჯებით შემცირებულ გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების თვითღირებულება მოიცავს: მათ შეძენასთან და გადამუშავებასთან დაკავშირებულ ყველა დანახარჯს, აგრეთვე იმ დანახარჯებს, რომლებიც გაწეულია მისი მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისათვის და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების წარმოების დანახარჯები მოიცავს ისეთ დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდაა დაკავშირებული პროდუქციის ერთეულის წარმოებასთან, როგორიცაა პირდაპირი შრომა და ნედლეული და აგრეთვე სისტემატურად გასანაწილებელ მუდმივ და ცვლად ხარჯებს, რომლებიც გაწეულია ნედლეულისა და მასალების მზა პროდუქციად გარდაქმნის პროცესში.

გაყიდული (გამოყენებული) სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების საბალანსო ღირებულება აღიარდება იმ პერიოდის ხარჯებად, როდესაც აღიარდება შესაბამისი შემოსავლები. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ხარჯად აღიარებისთვის გამოიყენება საშუალო შეწონილი მეთოდი.

საეჭრო და სხვა მოთხოვნები

საწარმო გაყიდვებს ახორციელებს ნორმალურ საკრედიტო პირობებში, აქედან გამომდინარე მოთხოვნებზე პროცენტის დარიცხვა არ ხდება.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს კომპანია ახდენს საეჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულების შეფასებას, რათა განსაზღვროს, ხომ არ არსებობს თანხების ამოუღებლობის რაიმე ობიექტური მტკიცებულება. ასეთის არსებობის შემთხვევაში დაუყონებლივ ხდება საეჭრო მოთხოვნების შეფასება და გაუფასურების ზარალის აღიარება მოგებაში ან ზარალში.

ხარჯები

მომსახურეობის თვითღირებულების ხარჯებს მიეკუთვნებული აქვს პირდაპირი ხარჯების (მასალები და ხელფასი) ამორტიზაცია და საწარმოო-საექსპლუატაციო ხარჯები. ხარჯები მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ასახულია შესაბამისობის პრინციპის მიხედვით.

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ეროვნულ ვალუტას საღაროში და ფულად საშუალებებს საბანკო ანგარიშებზე ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო განსჯა და განუსაზღვრელობის შეფასების ძირითადი წყაროები

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას ღირეუტორებს მოეთხოვებათ განსჯის, შეფასებებისა და დაშვებების გამოყენება იმ აქტივებისა და ვალდებულებების მიმართ, რომელთა ღირებულება გარკვევით ვერ მიიღება სხვა წყაროებიდან. შეფასებები და დაკავშირებული დაშვებები ემყარება წარსულ გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, რომლებიც მიიჩნევა, რომ შესაფერია. აქტობრივი შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს აღნიშნული შეფასებებისგან. აღნიშნული შეფასებებისა და საბაზისო დაშვებების შესწორება მუდმივად ხდება. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებები აღიარდება იმ პერიოდში, როდესაც შესწორდა შეფასება, თუ ცვლილება გავლენას ახდენს მხოლოდ იმ პერიოდზე ან შესწორების პერიოდსა და სამომავლო პერიოდებში, თუ ცვლილება გავლენას ახდენს როგორც მიმდინარე ისე სამომავლო პერიოდებზე.

განუსაზღვრელობის შეფასების ძირითადი წყაროები

დაბეგვრა

ქართული საგადასახადო კანონმდებლობა შეიძლება დაექვემდებაროს სხვადასხვა ინტერპრეტაციებს და შეიძლება მან ცვლილებები განიცადოს. ამასთან საგადასახადო კანონმდებლობის ხელმძღვანელობისეული ინტერპრეტაცია შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციებისაგან, რის გამოც კომპანიას შეიძლება დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და პროცენტის თანხა დაეკისროს. ომპანია დარწმუნებულია რომ მან უკვე გადაიხადა ყველა გადასახადი, ამიტომ ფინანსურ ანგარიშგებაში ანარიცხი არ შეუქმნია.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურეობის ვადა

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურეობის ვადის განსაზღვრა ხელმძღვანელობის განსჯის საკითხია, მსგავს

აქტივებთან დაკავშირებული მათი გამოცდილების საფუძველზე აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას ხელმძღვანელობა ითვალისწინებს მოსალოდნელ მოხმარებას, ტექნიკური მოძველების შეფასებას, ფიზიკურ ცვეთასა და იმ ფიზიკურ გარემოს სადაც იყენებენ ამ აქტივს. ამ გარემოებების ან შეფასებების ცვლილებამ შეიძლება განაპირობოს ცვეთის განაკვეთების შესწორება.

საექვო ვალების ანარიცხები

კომპანია საექვო ვალების ანარიცხებს ქმნის, რათა აღრიცხოს მომხმარებლების მიერ გადახდების განხორციელების უუნარობის შედეგად მიღებული შეფასებული ზარალი. საექვო ვალების ანარიცხების ადეკვატურობის შეფასებისას ხელმძღვანელობა თავისი შეფასების საფუძველად იყენებს საერთო ეკონომიკურ მდგომარეობას, ებიტორული დავალიანებების ნაშთების ხანდაზმულობას, წარსულში ჩამოწერის გამოცდილებას, მომხმარებლის კრედიტუნარიანობასა და გადახდის პირობების ცვლილებებს.

ჩიხლაძე გიორგი
დირექტორი

მაია დეისაძე
მთ. ბუღალტერი